EXISTENTIAL UNDERSTANDING OF THE IDEA OF FREEDOM IN CHRISTIANITY AND NEOLIBERALISM IN THE LIGHT OF DOSTEVSKY'S ARTISTIC WORLDVIEW

თავისუფლების ქრისტიანული და ნეოლიბერალური გაგების ექსისტენციური საზრისი დოსტოევსკის მხატვრული აზროვნების შუქზე

Nugzar Abramishvili
Doctor of Philosophy,
Professor of Gori State Universty
Gori,Chavchavadze st.,# 53,1400,Georgia,
+995577151212,Nugzarabramishvili@gu.edu.ge
https://orcid.org/0000-0001-5858-7906

Abstract. Human existence and destiny are shaped by their freedom, a gift that carries the greatest responsibility and dignity.

Christianity recognises two types of freedom: Freedom of choice, the source of both virtue and vice, and spiritual freedom, the liberation from carnal passions and desires.

The human soul possesses the potential for both infinite development and perfection, as well as infinite potential for decline and degradation. Everything is determined by the values that shape the course of their life.

The modern era is the era of the disappearance of spiritual potential, ideals and values in a person, and the survival of this potential becomes the most acute existential problem. The values derived from Christianity are crucial in this salvation.

For Christianity, man is the bearer of immense spiritual power, and with this power he is able to overcome the state of spiritual decline, not to be satisfied only with earthly prosperity, and to constantly transcend towards the divine essence and values.

A divine spark resides within our dark body, and we must choose a path that turns it into the light.

The concept of freedom is the core concern of Dostoevsky's writing. All five of his novels tell us a shocking story about the terrible darkness and loneliness that surrounds the characters of these novels. And Dostoevsky sees the root of the trouble in European liberalism permeated with atheism and nihilism, the essence of which Nietzsche expressed as follows: "God is dead". The death of the Christian God has always secretly permeated European liberalism, and this was recognized by Dostoevsky before Nietzsche. In his novels, he depicts the fate of ungodly people in freedom and the fate of freedom in ungodly man, when ungodly freedom grows into arbitrariness, permissiveness, then crime, and finally either spiritual and physical death or despotism and complete slavery. Loving human beings infinitely, Dostoevsky believes that human, as the image of God, has a spiritual power with which he can overcome this terrible spiritual decline, and he sees the source of this power in Orthodoxy.

Keywords. Freedom, Coercion, Arbitrariness, Truth, Value, Conscience, Nihilism, Liberalism, Grace, Faith, Transcendence.

ნუგზარ აბრამიშვილი
ფილოსოფიის დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
გორი, ჭავჭავაძის ქ., 53, 1400, საქართველო
+995577151212, Nugzarabramishvili@Gu.edu.ge,
https://orcid.org/0000-0001-5858-7906

აბსტრაქტი. ადამიანის არსება და ბედი მისი თავისუფლებით განისაზღვრება. თავისუფლება ადამიანს ანიჭებს უდიდეს პასუხისმგებლობას და ღირსებას. ქრისტიანობა აღიარებს ორგვარ თავისუფლებას: არჩევანის თავისუფლებას, რომელიც თანაბარი ძალით არის, როგორც სიკეთის, ისე ბოროტების სათავე და - სულიერ თავისუფლებას, რაც ნიშნავს ხორციელი ვნებებისგან და ლტოლვებისგან თავისუფლებას. ადამიანის სული ფლობს, როგორც უსასრულო განვითარებისა და სრულქმნის, ისე უსასრულოდ დაცემისა და გადაგვარების პოტენციალს. ყველაფერი იმით განისაზღვრება, თუ როგორი ღირებულებებით იქნება განათებული მისი ცხოვრების გზა. თანამედროვე ეპოქა ადამიანში სულიერი პოტენციალის, იდეალთა და ღირებულებათა ქრობის ეპოქაა და უმწვავეს ექსისტენციურ პრობლემად დგება ამ პოტენციალის გადარჩენა. ქრისტიანობიდან მომდინარე ღირებულებებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ამ გადარჩენის საქმეში.

ქრისტიანობისთვის ადამიანი უკიდეგანო სულიერი ძალის მატარებელია და ამ ძალით მას შეუძლია გადალახოს სულიერი დაცემის მდგომარეობა, არ დაკმაყოფილდეს მხოლოდ მიწიერი კეთილდღეობით და მუდმივად ტრანსცენდირებდეს ღვთაებრივ არსთა და ღირებულებათა მიმართ. ჩვენს ბნელ სხეულში კიაფობს ღვთიური ნაპერწკალი და ადამიანმა უნდა აირჩიოს ის გზა, რომელიც ამ ნაპერწკალს სინათლედ აქცევს.

თავისუფლების საკითხი დოსტოევსკის შემოქმედების ცენტრალურ საკითხს წარმოადგენს. მისი ხუთივე რომანი გვიყვება შემაძრწუნებელ ამბავს იმ საშინელ წყვდიადსა და მარტოობაზე, რითაც არიან გარემოცულნი ამ რომანთა პერსონაჟები. უბედურების სათავეს კი დოსტოევსკი ხედავს ათეიზმითა და ნიჰილიზმით განმსჭვალულ ევროპულ ლიბერალიზმში, რომლის არსიც ნიცშემ ასე გადმოსცა: „ღმერთი მოკვდა“.

ქრისტიანული ღმერთის სიკვდილი, ფარულად, ყოველთვის განმსჭვალავდა ევროპულ ლიბერალიზმს და ეს ნიცშეზე ადრე დოსტოევსკიმ ამოიცნო. თავის რომანებში ის გვიხატავს უღმერთოდ დარჩენილი ადამიანების ბედს თავისუფლებაში და თავისუფლების ბედს უღმერთო ადამიანებში, როცა უღმერთო თავისუფლება გადაიზრდება თვითნებობაში, ყოვლისნებადართულობაში, შემდეგ კი - დანაშაულში და ბოლოს, ან სულიერ და ფიზიკურ სიკვდილში, ანდა დესპოტიზმში და სრულ მონობაში. უყვარს რა უსაზღვროდ ადამიანი, დოსტოევსკის სწამს, რომ ადამიანს, როგორც ღვთის ხატს და მსგავსს გააჩნია სულიერი ძალა, რომლითაც შეუძლია გადალახოს ეს საშინელი სულიერი დაცემა და ამ ძალის წყაროს ის ხედავს მართლმადიდებლობაში.

საკვანძო სიტყვები. თავისუფლება, იძულება, თვითნებობა, ჭეშმარიტება, ღირებულება, სინდისი, ნიჰილიზმი, ლიბერალიზმი, მადლი, რწმენა, ტრანსცენდირება.

შესავალი. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველომ განვითარების ორიენტირად დასავლური, ანუ ევრო-ამერიკული ცივილიზაცია აირჩია. ბუნებრივია ვიკითხოთ, თუ რას წარმოადგენს ეს ცივილიზაცია? რა ღირებულებებს ეფუძნება ის? დასავლურმა ცივილიზაციამ ადამიანი ვიტალურ-ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებებზე დაიყვანა და მისი ყოფიერების საზრისი ამ მოთხოვნილებათა მაქსიმალურ დაკმაყოფილებაში დაინახა.

თუ ბუდა, ქრისტე, სოკრატე, პლატონი, სტოელები... ადამიანის ტანჯვის და უბედურების მიზეზს სხეულებრივ მოთხოვნილებათა სიმრავლეში ხედავდნენ და ადამიანს ურჩევდნენ ამ მოთხოვნილებების შემცირებას, დასავლურ ცივილიზაციას, პირიქით, ეცოტავება ეს მოთხოვნილებები და მათ ხელოვნურ გამრავლებას ახდენს. კომფორტის საგნების წარმოებამ უნივერსალური ხასიათი შეიძინა. ამას ემსახურება წარმოების განვითარება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. ბატონობს სასაქონლო ფეტიშიზმი, ყველაფერი საცვლელ ღირებულებადაა ქცეული. ადამიანური ურთიერთობები მეშჩანურ, ანგარებაზე დაფუძნებულ ფულად ურთიერთობებზეა დაყვანილი. ნამდვილი ადამიანური ურთიერთობები, სულიერი ღირებულებები კი დათრგუნულია, სულიერი ცხოვრება დავიწყებულია.

დასავლური ცივილიზაცია ჩვენთან ნეოლიბერალური იდეოლოგიით შემოვიდა. ქვეყნის ეკონომიკური საფუძვლების მოშლის შემდეგ, ნეოლიბერალები, მთელი რიგი პარტიებით და უამრავი არასამთავრობო ორგანიზაციებით წარმოდგენილნი, ახლა ქვეყნის სულიერ საფუძვლებს მიადგნენ და, რადგან ჩვენს სულიერებას ფესვები მართლმადიდებლურ ღირებულებებში აქვთ გადგმულნი, იქიდან იღებენ სასიცოცხლო ძალას და ენერგიას, ამიტომ ნეოლიბერალთა თავდასხმის მთავარი სამიზნე ქართული ეკლესიაა, მისკენაა მიმართული მათი დამანგრეველი ძალისხმევა. ცდილობენ ქრისტიანული ტრადიციული ღირებულებები ჩაანაცვლონ ფსევდო ღირებულებებით, ეწევიან ,,ლგბტ“ ცხოვრების წესის პროპაგანდას, იბრძვიან ტრადიციული ოჯახური ღირებულებების წინააღმდეგ, ცდილობენ, ბავშვთა უფლებების დაცვის საბაბით, დააკანონონ მოზარდებში სქესის შეცვლის უფლება. ერთი სიტყვით, საქმე გვაქვს ულტრა სატანიზმთან, რომლის ფონზე ისტორიული, ჩვენთვის წმინდა წერილებიდან ცნობილი სატანა შედარებით კეთილშობილურად გამოიყურება. თანამედროვე ნეოლიბერალური ანტიქრისტე არა ჰგავს ძველ, იოლად დასანახ ანტიქრისტეს. ეს ახალი, დახვეწილი, მაცდუნებელი ბოროტებაა, რომელიც მოგვევლენია სიკეთის, დემოკრატიის, თავისუფლების ნიღბით.

თანამედროვე ეპოქა ადამიანში ჰუმანისტური, სულიერი პოტენციალის, იდეალთა და ღირებულებათა ქრობის ეპოქაა და უმწვავეს ექსისტენციურ პრობლემად დგება ამ პოტენციალის გადარჩენა. ქრისტიანობიდან მომდინარე ღირებულებები: ჭეშმარიტება, სიკეთე, თავისუფლება, რწმენა, სინდისი, სიყვარული, სამშობლო, ოჯახი და ა. შ., ის ღირებულებებია, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ თანამედროვე ადამიანის გადარჩენის საქმეში.

ძალა, რომელსაც შეუძლია იხსნას ადამიანი არის იესო, რომელსაც თუ მიიღებ მთელი არსებით ხდები სრულიად თავისუფალი. ჩვენს გულებში ქრისტეს შემოსვლით ჩვენში მოქმედებას იწყებს მადლი, იბადება სინდისის გრძნობა, რომელიც ჩვენ აღარ გვემორჩილება, ჩვენზე ბატონდება, ჩვენზე მაღლა დგება. ამით ჩვენ ვხდებით როგორც სრულიად თავისუფალნი, ისე სრულიად პასუხისმგებელნი ჩვენს საქციელზე.

სახარებისეული მცნება: ,,შეიცანით ჭეშმარიტება და ჭეშმარიტება გაგანთავისუფლებთ თქვენ“, გულისხმობს სულიერ თავისუფლებას.

ადამიანის სული ფლობს, როგორც უსასრულო განვითარებისა და სრულქმნის, ისე უსასრულოდ დაცემისა და გადაგვარების პოტენციალს. ყველაფერი იმით განისაზღვრება, თუ როგორი ღირებულებებით იქნება ორიენტირებული თავის ცხოვრების გზაზე.

ქრისტიანული ჭეშმარიტება ათავისუფლებს ადამიანს, მაგრამ ადამიანმა თავისუფლად უნდა მიიღოს ეს ჭეშმარიტება. ქრისტე ითხოვს თავისუფალ სიყვარულს, თავისუფალ გაყოლას. ქრისტეს ამ თავისუფალ მიღებაშია ქრისტიანობის მთელი ღირსება და სიდიადე.

დოსტოევსკის „დიდი ინკვიზიტორი" ქრისტესთან საუბრისას ზღვრული სიცხადით გაამჟღავნებს ქრისტიანული თავისუფლების ამ თვისებას: ,,შენ არ დაიხსენი თავი ჯვრიდან... , რადგან არ გინდოდა ადამიანი სასწაულით დაგემორჩილებინა. შენ გწყუროდა ადამიანისგან თავისუფალი და არა სასწაულით გამოწვეული რწმენა. გწყუროდა თავისუფალი სიყვარული და არა შენი ძლევამოსილებით დატყვევებულისა და შეძრწუნებულის მონური აღფრთოვანება." (Достоевский, 1993: 278)

ქრისტიანული თავისუფლების საიდუმლო, ეს გოლგოთას, ჯვარცმის საიდუმლოა. ჯვარცმის მისტერია არ არის მოძალადე, მაიძულებელი აქტი, ის უბრალოდ უნდა აღმოაჩინო და მიიღო თავისუფლად. ჯვარცმა პირდაპირაა მიმართული ადამიანის სულიერ თავისუფლებაზე. ურწმუნო ბრბო ქრისტესგან მოითხოვს: ,,თუ ძე ხარ უფლისა, თავი დაიხსენ ჯვრიდან", მაგრამ ქრისტე არ ითავისუფლებს თავს ჯვარცმისგან, რადგან მას ადამიანისგან უნდა თავისუფალი სიყვარული და არა მონური აღფრთოვანება, მისი ყოვლისშემძლეობის წინაშე. ქრისტიანობისთვის ადამიანი უკიდეგანო სულიერი ძალის მატარებელია, რომლითაც მას შეუძლია გადალახოს სულიერი დაცემისა და მონობის მდგომარეობა. ქრისტეში, როგორც ღმერთკაცში გამომზეურდება ადამიანის სულის უსაზღვროება. სულის უსასრულობა არ აძლევს იმის საშუალებას, რომ გამოიკეტოს მიწიერ სამყაროში, დაკმაყოფილდეს მხოლოდ ამქვეყნიური კეთილდღეობით; აიძულებს მიიქცეს სხვა, მიღმა, ღვთაებრივ, სულიერ ღირებულებათა სამყაროსკენ.

ქრისტიანობა, ყველა რელიგიათა შორის, ერთადერთია, რომელიც ღმერთის გვერდით აყენებს ადამიანს, რომელშიც პოტენციურად ღმერთის სისრულეა დავანებული. თუ უსასრულო ადამიანური სულის განამდვილება განხორციელდა ქრისტეში, მაშინ ამ სისრულესთან ზიარების შანსი სუფევს ყოველი, თუნდაც უდაბლეს საფეხურზე დაცემული ადამიანის სულშიც.

მეთოდები. თემის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოვიყენე კრიტიკული ანალიზის და ჰერმენევტიკული მეთოდები.

შედეგები. ადამიანთა კატასტროფული სულიერი დეგრადაცია თანამედროვე დასავლეთში იმითაცაა გამოწვეული, რომ მათ მინიჭებული აქვთ განუსაზღვრელი მოქმედების თავისუფლება. ოღონდ კანონი არ დაარღვიო და ჩაიდინე რაც გინდა. მოქმედების თავისუფლება მიჩნეულია თავისუფლების ერთადერთ სახედ. ამ საკითხში ქრისტიანობა და თანამედროვე დასავლეთი რადიკალურად შორდებიან ერთმანეთს. ქრისტიანობისთვის უმთავრესი სულიერი თავისუფლებაა, ევროპისა და ამერიკისთვის - მოქმედების თავისუფლება.

ევრო-ამერიკულ ცივილიზაციაში სულიერი თავისუფლება ზედმეტი, გაუგებარი და უშინაარსო ცნებაა. ქრისტიანობისთვის ის უმაღლესი ღირებულებაა. ადამიანი შეიძლება საბყრობილეში იჯდეს, მაგრამ სულიერად იყოს თავისუფალი. ევროპელი და ამერიკელი ამას ვერ გაიგებს. ქრისტიანული თვალსაზრისით, ჭეშმარიტად თავისუფალია ის, ვინც სულითაა თავისუფალი, რაც ადამიანს ადამიანად აქცევს. ესაა თავისუფლება ყოველგვარი ბოროტებისგან, თავისუფლება ვნებების ბატონობისგან. სულიერი თავისუფლების ჩანაცვლება ავხორცობის თავისუფლებით დამღუპველია ადამიანისთვის, არადა ავხორცობის, გარყვნილების, გაუკუღმართების თავისუფლება ჩვენი დროის უმთავრეს დევიზადაა ქცეული.

ნეოლიბერალიზმს უნდა მოსპოს ცოდვის ცნება, მათი აზრით, ცოდვის განცდა თურმე ზედმეტად ბოჭავს ადამიანს და თავისუფლებას აკარგვინებს, ამიტომაც უნდათ გააქრონ მორალი და მასთან ერთად სინდისის ქენჯნაც. იერიში აქვთ მიტანილი ზნეობაზე, რაც გულისხმობს ბრძოლას არა მარტო რელიგიასთან, არამედ საყოველთაო, ზოგად ადამიანურ ღირებულებებთან. ისინი ცხოველებზე უფრო დაბალი ცხოვრების წესს ახვევენ თავს ადამიანს და სულიერი გადაგვარებისკენ უბიძგებენ.

დოსტოევსკის ხუთივე რომანი ,,დანაშაული და სასჯელი"-დან დაწყებული, ,,ძმები კარამაზოვებით" დამთავრებული გვიყვებიან შემაძრწუნებელ ამბავს იმ საშინელ წყვდიადსა და მარტოობაზე, რითაც არიან გარემოცულნი მისი რომანის გმირები. უბედურების სათავეს დოსტოევსკი ხედავს ათეიზმითა და ნიჰილიზმით განმსჭვალულ ლიბერალურ მსოფლმხედველობაში, რომლის არსიც ნიცშემ მოკლედ ასე გამოთქვა: „ღმერთი მოკვდა". ღმერთის სიკვდილი კი იმავდროულად ნიშნავს ზეგრძნობადი ქრობას; იდეალების, ნორმების, პრინციპების, წესების, მიზნების და ღირებულებების სიკვდილს, იმის სიკვდილს, რაც ადამიანის ცხოვრებას აძლევდა მიზანს, წესრიგს და საზრისს.

ევროპულ ლიბერალიზმს ფარულად ყოველთვის განმსჭვალავდა ქრისტიანული ღმერთის სიკვდილი და, რომელიც ნიცშეზე ადრე ამოიცნო დოსტოევსკიმ. პირველმა მან შენიშნა, რომ ევროპული კულტურა, სულიერება კრიზისშია, რომ „მოკლული" ღმერთის ადგილს იკავებს ახალი რელიგია, ,,კაცღმერთის რელიგია". გახდა რა ათეისტური, ლიბერალური ჰუმანიზმი იმ აზრამდე მივიდა, რომ ადამიანმა უნდა ჩაანაცვლოს ღმერთი, რომლისთვისაც ყველაფერი ნებადართულია. მისთვის არ უნდა არსებობდეს შემზღუდავი ზნეობრივი პრინციპები, ქრისტიანობიდან მომდინარე ღირებულებები.

დოსტოევსკი თავის რომანებში გვიხატავს თავისუფლების გზებზე მოარული, უღმერთოდ დარჩენილი ადამიანების ბედს. მას აინტერესებს თავისუფლების ბედი უღმერთო ადამიანში და უღმერთო ადამიანის ბედი თავისუფლებაში.

დოსტოევსკის გმირები თუმც მეცხრამეტე საუკუნეს ეკუთვნიან, მაგრამ თავისი მსოფლმხედველობით დგანან ჩვენი ეპოქის, ნეოლიბერალიზმის ეპოქის კარიბჭესთან. რასკოლნიკოვი, სტავროგინი, ვერხოვენსკი, კირილოვი, ივან კარამაზოვი, დიდი ინკვიზიტორი, ჩვენი ეპოქის სულის მოციქულებად გვევლინებიან.

მსჯელობა. თავისუფლების პრობლემა ,,წყეულ" პრობლემათა რიგს განეკუთვნება მისი სირთულისა და მრავალსახოვნების გამო.

ფილოსოფოსები და ღვთისმეტყველნი ძირითადად განიხილავენ მის სამ მნიშვნელობას. პირველი მნიშვნელობით, რომელსაც ზოგი მეტაფიზიკურ თავისუფლებას უწოდებს, ზოგი - ექსისტენციალურს, ზოგი კი, მაგალითად კანტი - კოსმოლოგიურს, ეს არის ადამიანის ცნობიერების თანდაყოლილი, ფუნდამენტური თვისება (ღვთიური საჩუქარი ადამიანში, რის წყალობითაც ადამიანი ეზიარება ადამიანობას, არის ღვთის ხატი და მსგავსი), მოახდინოს შინაგანი არჩევანი, მიიღოს გადაწყვეტილება, დაისახოს მიზანი, განსაზღვროს მიზნის განხორციელების გზები. საბოლოო ჯამში, განახორციელოს არჩევანი სიკეთესა და ბოროტებას შორის.

ეს არის ნების თავისუფლება, რომელიც იმით გაცხადდება, რომ ადამიანი ყოველთვის ირჩევს ამა თუ იმ მსოფლმხედველობას, ან ეჭვი შეაქვს და უარყოფს არჩეულ მსოფლმხედველობას. ამ თავისუფლებისგან თავის დაღწევის ყოველი ცდა, კვლავ ადამიანის თავისუფლებაზე მიგვანიშნებს. ამას გულისხმობს სარტრის ცნობილი გამონათქვამი: „ადამიანი დაწყევლილია თავისუფლებით".

რამდენადაც ადამიანს არ შეუძლია გაექცეს თავისუფლებას, იმდენადვე არ შეუძლია გაექცეს პასუხისმგებლობას მის მიერ არჩეული მსოფლმხედველობის გამო, რომელსაც შინაგანად მისდევს და იცავს თავის ცხოვრებაში. მეტაფიზიკური თავისუფლება აუცილებელ კავშირშია პასუხისმგებლობასთან. ადამიანი, რომელიც აცნობიერებს

თავისუფლებას, გრძნობს პასუხისმგებლობის მძიმე ტვირთს. ამიტომ ცდილობს მისგან გაქცევას, თავის არიდებას. სწორედ მეტაფიზიკურ თავისუფლებას გულისხმობს ერიხ ფრომი, როცა ჩვენი დროის ადამიანის ერთ-ერთ არსებით ნიშნად მიიჩნევს თავისუფლებისგან გაქცევას: „ადამიანები ისეთივე მონდომებით თმობენ თავისუფლებას, როგორი მონდომებითაც იბრძვიან მისი მოპოვებისთვის. თავისუფლების წყურვილის ნაცვლად, მისგან თავის დაღწევის საშუალებებს ეძებენ“. (ფრომი, 2020: 8)

აი რას ამბობს კანტი მეტაფიზიკური თავისუფლების შესახებ, რომელსაც ის კოსმოლოგიურ თავისუფლებას უწოდებს: „თავისუფლებაში მე ვგულისხმობ ადამიანურ უნარს თვითნებურად მისცე დასაბამი მოვლენათა ახალ თანამიმდევრობას, მიზეზ-შედეგობრივ კავშირთა ახალ რიგს არა გარეგანი ზემოქმედების, იძულების თუ სხვა გარეგან მიზეზთა ძალით, არამედ იმიტომ, რომ შენ გინდა ასე, თავისუფალი არჩევანის, თავისუფალი გადაწყვეტილების საფუძველზე“ (Кант, 1965: 310).

სამყაროში ყველაფერი განსაზღვრულია მიზეზობრიობით. საგნები განისაზღვრებიან გარეგანი მიზეზებით, ადამიანები და ცხოველები გარეგანი და შინაგანი მიზეზებით, მაგრამ ადამიანი ერთადერთი არსებაა, რომელსაც შეუძლია თავი დააღწიოს მიზეზობრიობას, გაწყვიტოს მიზეზობრივ კავშირთა ჯაჭვი, გააკეთოს არჩევანი და აღმოჩნდეს სამყაროსთან მიზნობრივ მიმართებაში. ადამიანი მოქმედებს არა მარტო მიზეზების, არამედ დასახული მიზნის მიხედვით. ადამიანის ნამდვილი თავისუფლება, თავისუფალია ყოველგვარი მიზეზობრივი განსაზღვრულობისგან. ნებელობითი მოქმედების დროს იგი არ ემორჩილება მოვლენათა მიზეზობრივ კანონზომიერებას. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადამიანი თავისუფალი არსებაა. ქრისტიანული სწავლებით, ნების თავისუფლება ადამიანის ის თვისებაა, რომლის დაკარგვა ადამიანის სრულ დეგრადაციას იწვევს. ნების თავისუფლებაზე ვერ ზემოქმედებს ვერავინ, ვერც სხვა ადამიანი, ვერც საზოგადოება და ვერც თვითონ ღმერთი. ის ამბავი, რომ ღმერთი არ ზემოქმედებს ადამიანის ნებელობაზე ქრისტიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იდეაა, რადგან თუ დავუშვებთ ღმერთის ზემოქმედებას ადამიანის ნებაზე ეს ადამიანისთვის იქნება გარეგანი მაიძულებელი, რაც გააუქმებს მის თავისუფლებას, ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ, ადამიანის ხსნა ან სიკვდილი მთლიანად განპირობებული იქნება ღვთისგან, ხოლო ქრისტიანული გაგებით, ღმერთს არ შეუძლია ჩვენი ხსნა ჩვენი თანამონაწილეობის გარეშე. „სინერგოია სიმენტუ თეო.“

თავისუფლების მეორე სახედ განიხილავენ მოქმედების თავისუფლებას, რომელსაც ზოგჯერ გარეგანი თავისუფლების სახელითაც მოიხსენიებენ. თავისუფლების ეს სახე გვხვდება მაშინ, როცა ადამიანი თავისი მიზნების, ინტერესების განხორციელების პროცესში განიცდის გარეგანი იძულების ზემოქმედებას, როცა ადამიანი იძულებულია მოქმედებდეს არა საკუთარი ნების, არამედ სხვისი ნების მიხედვით, როცა მივყვები და ვასრულებ სხვის ნებას. მოქმედების თავისუფლება გარეგანი იძულებისგან თავისუფლებაა, როცა ჩემი მოქმედება ჩემი ნების, ჩემი სურვილის განხორციელებაა, როცა ჩემი სხეული და აზროვნება ჩემი ნებისა და სურვილის იარაღია: ცხადია ბუნებრივ, სოციალურ და ზნეობრივ კანონთა საზღვრებში.

წმინდა წერილში მესიას, მხსნელს სწორედ მოქმედების თავისუფლების მომტანის ფუნქცია აქვს ებრაელებისთვის, რომელიც მათ გაანთავისუფლებს წარმართთა მონობისგან.

თავისუფლების ეს სახე აქვთ მხედველობაში, როცა ლაპარაკობენ ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ, რელიგიურ, აზროვნების და ა.შ. თავისუფლებაზე.

ფილოსოფოსები და ქრისტიანები მიუთითებენ თავისუფლების მესამე, ყველაზე მნიშვნელოვან სახეზე - ზნეობრივ ანუ სულიერ თავისუფლებაზე.

ცოცხალ არსებათა შორის ადამიანია ერთადერთი, რომელიც გონებითა და თავისუფალი ნებითაა დაჯილდოებული, ბიბლიაც ხომ ამას გვასწავლის: „ადამიანი ღვთის

ხატად და მსგავსად იქმნა გონებისა და თავისუფალი ნების გამო“. მაგრამ ეს ღვთიური საჩუქარი არის, როგორც სიკეთის, ისე ბოროტების სათავე. ეს ღვთიური ნაპერწკალია ადამიანში, რომელიც სინათლედ იქცევა მხოლოდ მაშინ, თუ ადამიანს შეუძლია თავის თავზე დაპატრონება. თუ ის ხდება თავისი თავის ბატონი, თავისი უფალი ,,თავისუფალი“. ხოლო თუ გონება სხეულის, სხეულიდან მომდინარე ვნებების მონაა და მსახური, ასეთი გონება საშიშს ხდის მის მატარებელ სიცოცხლეს. ადამიანს, როგორც მოაზროვნე ცხოველს ვერც ერთი ცხოველი ვერ შეედრება სისასტიკეში. ცხოველს თუ მოთხოვნილებები აქცევენ ეგოისტად, ეს ეგოიზმი არ სცილდება სიცოცხლის შენარჩუნების ამოცანას. ადამიანის, როგორც მოაზროვნე ცხოველის შემთხვევაში ეგოიზმი უსაზღვრო ხდება, თვითმიზნად იქცევა და ბოროტებად გარდაიქმნება.

სულიერი ანუ ზნეობრივი თავისუფლება გულისხმობს ადამიანის ბატონობას თავის სხეულებრივ მოთხოვნილებებზე, თავის ვნებებზე, ქვეცნობიერიდან მომდინარე იმპულსებზე.

იმისთვის, რომ განვთავისუფლდეთ, უნდა დავიმორჩილოთ, დავთრგუნოთ საკუთარი თავი. რაც მეტად დავიმორჩილებთ და დავეუფლებით თავს, მით მეტ თავისუფლებას მოვუპოვებთ სულს. ჩვენს დროში თავისუფლებაში ესმით ყველაფრის კეთების უფლება, რაც მოუნდებათ, მაგრამ ეს არ არის თავისუფლება, ეს არის ცოდვის ძალაუფლება ჩვენზე, ან როგორც მაცხოვარი ამბობს „რომელმაც ქმნას ცოდვა, მონაა ცოდვისა“.

ვნებების მონად ქცეული გონება იქცევა ვნებების მსახურად. ვნებათა ტყვეობაში ჩავარდნილი ადამიანი არის ნამდვილი მონა. პავლე მოციქული ასე აღწერს ამ მონობას: ,,ვერ გამიგია რას ვაკეთებ, რადგან ვაკეთებ არა იმას, რაც მინდა, არამედ იმას, რაც მძულს, სიკეთე, რომელიც მინდა, არ ვაკეთებ, ბოროტება, რომელიც არ მინდა, იმას ვაკეთებ. ჩემს ასოებში ვხედავ სხვა კანონის მოქმედებას, რომელიც ეწინააღმდეგება გონების კანონს და მაქცევს ცოდვის კანონის ტყვედ“. (პავლე, რომაელთა მიმართ: VII. 17-23)

იესო პირველად ნაზარეთის სინაგოგაში ქადაგებისას განუცხადებს მრევლს, რომ ის მესიაა. ხალხი სიხარულით ხვდება მაცხოვრის ნათქვამს. ისინი ხომ დიდი ხანია ელიან მესიას, რომელიც გაანთავისუფლებს მათ რომაელთა მონობისგან, მაგრამ იესო ამბობს: მე მოვსულვარ არა რომაელთა მონობისგან, არამედ ყველაზე სასტიკი და საშინელი მბრძანებლის მონობისგან, თქვენი ცოდვების მონობისგან თქვენს განსათავისუფლებლად. იესოს ვერ გაუგეს ებრაელებმა, მას თავიდან ვერც მოციქულებმა გაუგეს. მათში ნელ-ნელა ხდება მაცხოვრის, როგორც მარადიული მესიის გაცნობიერება, რომელიც ადამიანთა გულებში გამეფდება, ოღონდ არა ფიზიკურად, არა ხილული სახით. იესო ამბობს „სასუფეველი მოვა უხილავად, თქვენს გულებში, რომელიც ცოდვებისგან განგათავისუფლებთ“.

ქრისტე მოდის როგორც ახალი მოსე, რომელსაც ებრაელი ხალხი კი არ გამოჰყავს ეგიპტელთა ან რომაელთა მონობისგან, არამედ კაცობრიობა გამოჰყავს ცოდვების მონობისგან, ათავისუფლებს სულში მყოფი ფარაონისგან, რომელიც არის ეშმაკეული ძალა.

ძალა, რომელსაც შეუძლია იხსნას ადამიანი, არის იესო, რომელსაც თუ მიიღებ მთელი არსებით, ხდები სრულიად თავისუფალი. ჩვენს გულებში ქრისტეს შემოსვლით ჩვენში მოქმედებას იწყებს მადლი, ჩვენში იბადება სინდისის გრძნობა, რომელიც ჩვენ აღარ გვემორჩილება, ჩვენზე ბატონდება, ჩვენზე მაღლა დგება. ამით ადამიანი ხდება როგორც სრულიად თავისუფალი, ისე სრულიად პასუხისმგებელი თავის საქციელზე. სახარებისეული მცნება: „შეიცანით ჭეშმარიტება და ჭეშმარიტება განგათავისუფლებთ თქვენ“, გულისხმობს სწორედ სულიერ თავისუფლებას.

ადამიანის სული ფლობს, როგორც უსასრულო განვითარებისა და სრულქმნის, ისე უსასრულოდ დაცემის და გადაგვარების პოტენციალს. ყველაფერი იმით განისაზღვრება, თუ როგორი ღირებულებებით იქნება განათებული მისი ცხოვრების გზა.

თანამედროვე ეპოქა ადამიანში ჰუმანისტური, სულიერი პოტენციალის, იდეალთა და ღირებულებათა ქრობის ეპოქაა და უმწვავეს ექსისტენციურ პრობლემად დგება ამ პოტენციალის გადარჩენა. ქრისტიანობიდან მომდინარე ღირებულებები: ჭეშმარიტება, სიკეთე, თავისუფლება, რწმენა, სინდისი, სიყვარული და ა.შ. ის ღირებულებებია, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ ადამიანის გადარჩენის საქმეში. ქრისტიანული ჭეშმარიტება ათავისუფლებს ადამიანს, მაგრამ ადამიანმა თავისუფლად უნდა მიიღოს ეს ჭეშმარიტება. ქრისტე ითხოვს თავისუფალ სიყვარულს, თავისუფალ გაყოლას. ქრისტეს ამ თავისუფალ მიღებაშია ქრისტიანობის მთელი ღირსება და სიდიადე. დიდი ინკვიზიტორი, რომანიდან „ძმები კარამაზოვები“, ქრისტესთან საუბრისას ზღვრული სიცხადით გაამჟღავნებს ქრისტიანული თავისუფლების ამ თვისებას: „შენ არ დაიხსენი თავი ჯვრიდან ..., რადგან არ გინდოდა ადამიანი სასწაულით დაგემორჩილებინა. შენ გწყუროდა ადამიანისგან თავისუფალი და არა სასწაულით გამოწვეული რწმენა. გწყუროდა თავისუფალი სიყვარული და არა შენი ძლევამოსილებით დატყვევებულისა და შეძრწუნებულის მონური აღფრთოვანება“. (Достоевский, 1993: 277) ქრისტიანული თავისუფლების საიდუმლო ეს გოლგოთას, ჯვარცმის საიდუმლოა. ჯვარცმის მისტერია არ არის მოძალადე და მაიძულებელი აქტი, ის, უბრალოდ, უნდა აღმოაჩინო და მიიღო თავისუფლად. ჯვარცმა პირდაპირაა მიმართული ადამიანის სულიერ თავისუფლებაზე. ურწმუნო ბრბო ქრისტესგან მოითხოვს: „თუ ძე ხარ ღვთისა თავი დაიხსენ ჯვრიდან“. მაგრამ ქრისტე თავს არ ითავისუფლებს ჯვარცმისგან, რადგან მას ადამიანისგან უნდა თავისუფალი სიყვარული და არა მონური აღფრთოვანება მისი ყოვლისშემძლეობის წინაშე.

ქრისტიანობისთვის ადამიანი უკიდეგანო სულიერი ძალის მატარებელია, რომლითაც მას შეუძლია გადალახოს სულიერი დაცემისა და მონობის მდგომარეობა. ქრისტეში გამომზეურდება ადამიანის სულის უსაზღვროება. სულის უსასრულობა ადამიანს არ აძლევს იმის საშუალებას, რომ გამოიკეტოს მიწიერ სამყაროში, დაკმაყოფილდეს ამქვეყნიური კეთილდღეობით, აიძულებს მიიქცეს სხვა მიღმა, ღვთაებრივ, სულიერ ღირებულებათა სამყაროსკენ.

ქრისტიანობა, ყველა რელიგიათა შორის ერთადერთია, რომელიც ღმერთის გვერდით აყენებს ადამიანს, რომელშიც პოტენციურად ღმერთის სისრულეა დავანებული. თუ უსასრულო ადამიანური სულის განამდვილება განხორციელდა ქრისტეში, მაშინ ამ სისრულესთან ზიარების შანსი სუფევს ყოველი, თუნდაც უდაბლეს საფეხურზე დაცემული ადამიანის სულშიც.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველომ განვითარების ორიენტირად დასავლური, ანუ ევრო-ამერიკული ცივილიზაცია აირჩია. ბუნებრივია ვიკითხოთ, თუ რას წარმოადგენს ეს ცივილიზაცია? რა ღირებულებებს ეფუძნება ის? დასავლურმა ცივილიზაციამ ადამიანი ვიტალურ-ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებებზე დაიყვანა და მისი ყოფიერების საზრისი მატერიალურ მოთხოვნილებათა მაქსიმალურ დაკმაყოფილებაში დაინახა. თუ ბუდა, ქრისტე, სოკრატე, პლატონი, სტოელები... ადამიანის ტანჯვის და უბედურების მიზეზს სხეულებრივ მოთხოვნილებათა სიმრავლეში ხედავდნენ და ადამიანს ურჩევდნენ ამ მოთხოვნილებების შემცირებას, დასავლურ ცივილიზაციას, პირიქით, ეცოტავება ეს მოთხონილებები და მათ ხელოვნურ გამრავლებას ახდენს. კომფორტის საგნების წარმოებამ უნივერსალური ხასიათი შეიძინა. ამას ემსახურება წარმოების განვითარება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. ბატონობს სასაქონლო ფეტიშიზმი, ყველაფერი საცვლელ ღირებულებადაა ქცეული. ადამიანური ურთიერთობები მეშჩანურ, ანგარებაზე დაფუძნებულ ფულად ურთიერთობებზეა დაყვანილი. ნამდვილი ადამიანური ურთიერთობები, სულიერი ღირებულებები კი დათრგუნულია, სულიერი ცხოვრება დავიწყებულია. ადამიანი მოწყვეტილია თავის ნამდვილ ყოფიერებას მისი არსებობა უპირისპირდება მის არსებას.

დასავლური ცივილიზაცია ჩვენთან ნეოლიბერალური იდეოლოგიით შემოვიდა. ქვეყნის ეკონომიკური საფუძვლების მოშლის შემდეგ, ნეოლიბერალები, მთელი რიგი პარტიებითა და უამრავი არასამთავრობო ორგანიზაციებით წარმოდგენილნი, ახლა ქვეყნის სულიერ საფუძვლებს მიადგნენ და, რადგან ჩვენს სულიერებას ფესვი მართლადიდებლურ ღირებულებებში აქვთ გადგმული, იქიდან იღებენ სასიცოცხლო ძალას და ენერგიას, ამიტომ ნეოლიბერალთა თავდასხმის მთავარი სამიზნე ქართული ეკლესიაა, მისკენაა მიმართული მათი დამანგრეველი ძალისხმევა. ცდილობენ ქრისტიანული ტრადიციული ღირებულებები ჩაანაცვლონ ფსევდო ღირებულებებით, ეწევიან „ლგბტ“ ცხოვრების წესის პროპაგანდას, იბრძვიან ტრადიციული ოჯახური ღირებულებების წინააღმდეგ, ცდილობენ, ბაშვთა უბლებების დაცვის საბაბით, დააკანონ მოზარდებში სქესის შეცვლა. ერთი სიტყვით საქმე გვაქვს ულტრასატანიზმთან, რომლის ფონზე ისტორიული, ჩვენთვის წმინდა წერილებიდან ცნობილი სატანა შედარებით კეთილშობილურად მოჩანს. ადამიანების კატასტროფული სულიერი დეგრადაცია თანამედროვე დასავლეთში იმითაცაა გამოწვეული, რომ მათ მინიჭებული აქვთ განუსაზღვრელი მოქმედების თავისუფლება. მოქმედების თავისუფლება მიჩნეულია თავისუფლების ერთადერთ სახედ. ამ საკითხში ქრისტიანობა და თანამედროვე დასავლეთი რადიკალურად შორდებიან ერთმანეთს. ქრისტიანობისთვის უმთავრესი - სულიერი თავისუფლებაა, ევროპისა და ამერიკისთვის კი - მოქმედების თავისუფლება. ევრო-ამერიკულ ცივილიზაციაში სულიერი თავისუფლება ზედმეტი, გაუგებარი და უშინაარსო ცნებაა. ქრისტიანისთვის ის უმაღლესი ღირებულებაა. ადამიანი შეიძლება საბყრობილეში იჯდეს, მაგრამ სულიერად იყოს თავისუფალი. ევროპელი და ამერიკელი ამას ვერ გაიგებს. ქრისტიანული თვალსაზრისით, ჭეშმარიტად თავისუფალია ის, ვინც სულითაა თავისუფალი, რაც ადამიანს ადამიანად აქცევს. ესაა თავისუფლება ყოველგვარი ბოროტებისგან, თავისუფლება ვნებების ბატონობისგან. სულიერი თავისუფლების ჩანაცვლება ავხორცობის თავისუფლებით მომაკვდინებელია, არადა ავხორცობის, გარყვნილების, გაუკუღმართების თავისუფლება ჩვენი დროის უმთავრეს დევიზად იქცა. ნეოლიბერალიზმს უნდა მოსპოს ცოდვის ცნება. მათი აზრით, ცოდვის განცდა თურმე ზედმეტად ბოჭავს ადამიანს და თავისუფლებას აკარგვინებს. ამიტომაც უნდათ გააქრონ მორალი და მასთან ერთად - სინდისის ქენჯნაც. იერიში აქვთ მიტანილი ზნეობაზე, რაც დღეს უკვე გულისხმობს ბრძოლას არა მარტო რელიგიურ მცნებებთან, არამედ საყოველთაო ზოგადადამიანურ ღირებულებებთანაც, ისინი ცხოველებზე უფრო დაბალი ცხოვრების წესს სთავაზობენ საზოგადოებას და სრული სულიერი გადაგვარებისკენ უბიძგებენ.

თავისუფლების საკითხი დოსტოევსკის მხატვრული მსოფლმხედველობის ცენტრალურ საკითხს, მისი შემოქმედების გულს წარმოადგენს. განსაცვიფრებელი მხატვრული ინტუიციით სწვდება ის ადამიანის სულის ბუნებას თავის უძირობასა და უსაზღვრობაში და ამ სულის სიღრმიდან მიდის ადამიანის თავისუფლების საკითხთან. ჯერ კიდევ „იატაკქვეშა ჩანაწერებში“, რომელსაც თომას მანი თავისუფლების მანიფესტს უწოდებს, დოსტოევსკი პირველად გააცხადებს, რომ ადამიანის, როგორც პიროვნების არსებას წარმოადგენს თავისუფლება. ადამიანი, როგორც პიროვნება არის თავისუფლება. ადამიანი არ არის მხოლოდ ბუნებრივი ან სოციალური არსება. ის, როგორც სულიერი არსება, პირველ რიგში არის ნების თავისუფლება და ეს თავისუფლება მისთვის ყველაზე ძვირფასია. ეს არის ყველაზე ძვირფასი საჩუქარი, რომელიც მას მისცემია. ადამიანს თუ წაართმევ ნების თავისუფლებას ის ჩაქრება, როგორც ადამიანი. ის თავისუფლების გარეშე იქცევა, როგორც ამბობს „იატაკქვეშა ჩანაწერების“ გმირი „ორღანის წკირად ან ფორტეპიანოს კლავიშად“ (Достоевский, 1974: 75).

დოსტოევსკის ხუთივე რომანი ,,დანაშაული და სასჯელი"-თ დაწყებული ,,ძმები კარამაზოვებით" დამთავრებული გვიყვებიან შემაძრწუნებელ ამბავს იმ საშინელ წყვდიადსა და მარტოობაზე რითაც მისი რომანების პერსონაჟები არიან გარემოცულნი.

უბედურების სათავე კი ათეიზმითა და ნიჰილიზმით განმსჭვალული ევროპული ლიბერალური მსოფლმხედველობაა, რომლის არსიც ნიცშემ მოკლედ ასე გამოთქვა: „ღმერთი მოკვდა". „ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქრისტიანთა ღმერთმა დაკარგა ძალაუფლება საერთოდ არსებულზე და ადამიანის დანიშნულებაზე. ღმერთის სიკვდილი, იმავდროულად, ნიშნავს საერთოდ ზეგრძნობადის ქრობას; იდეალების, ნორმების, პრინციპების, წესების, მიზნების და ღირებულებების სიკვდილს. იმის სიკვდილს, რაც ადამიანს აძლევდა მიზანს, წესრიგს და საზრისს." (Хайдеггер, 1993: 63). ლიბერალური ნიჰილიზმი ის ისტორიული პროცესია, რომლის დროსაც ღვთაებრივი ემხობა და უფასურდება და თან ისე, რომ თვით არსებულიც კარგავს ღირებულებას და საზრისს. ლიბერალური ნიჰილიზმი ეს ევროპის ისტორიული პროცესია, რომელსაც ფარულად, ყოველთვის განმსჭვალავდა ქრისტიანული ღმერთის სიკვდილი და, რომელიც ნიცშეზე ადრე ამოიცნო დოსტოევსკიმ. მან შენიშნა, რომ ევროპული კულტურა, სულიერება კრიზისშია, რომ „მოკლული" ღმერთის ადგილს იკავებს ახალი რელიგია, კაცღმერთის რელიგია. გახდა რა ათეისტური, ლიბერალური ჰუმანიზმი იმ აზრამდე მივიდა, რომ ადამიანმა უნდა ჩაანაცვლოს ღმერთი, უნდა იქცეს ღმერთად, რომლისთვისაც ყველაფერი ნებადართულია. მისთვის არ უნდა არსებობდეს შემზღუდველი ზნეობრივი პრინციპები, ქრისტიანობიდან მომდინარე ღირებულებები.

ევროპაში განათლება მიღებული ივან კარამაზოვი ზღვრული სიცხადით გადმოსცემს ამ მსოფლმხედველობას. უსასრულო სამყაროში ადამიანს, კაცობრიობას ძალზე მცირე ადგილი უკავია, მას არავითარი უპირატესობა არა აქვს სხვა არსებულთა მიმართ. ადამიანი ქრება ისევე უკვალოდ, როგორც ყველა მოვლენა. საერთოდ სამყაროს მოვლენათა სვლას, კერძოდ კი ადამიანის არსებობას არა აქვს არანაირი საზრისი. ადამიანისთვის ერთადერთი მნიშვნელოვანია სხეულებრივი კეთილდღეობა, კომფორტი: ჭამა-სმა, სქესობრივი აქტი და ა.შ. ადამიანმა მხოლოდ ამ კეთილდღეობაზე უნდა იზრუნოს. რაც შეეხება მოყვასის სიყვარულს, ეთიკურ პათოსს, ამ მხრივ ადამიანს არ გააჩნია არანაირი ღირებულება. სმერდიაკოვი კლავს მამას, ფიოდორ კარამაზოვს, მაგრამ მთავარი დამნაშავე ივან კარამაზოვია, რადგან მისი მსოფლმხედველობა, რომელიც მან სმერდიაკოვს თავს მოახვია, მამის მკვლელობის იმპულსის მატარებელია. ივანისთვის არ არსებობს ღმერთი, არ არსებობენ უმაღლესი ღირებულებები, ჩამქრალია ადამიანის ღვთაებრივი დანიშნულების რწმენა. არსებობენ მხოლოდ ფიზიკური და ქიმიური კანონები, ამიტომ არ არსებობს არანაირი საფუძველი იმისა, რომ ადამიანს ადამიანი უნდა უყვარდეს: „ბუნების ისეთი კანონი, რომ ადამიანს უყვარდეს კაცობრიობა სულაც არ არსებობს" (Достоевский, 1993: 165).

ივანი ადამიანს მისი შესაძლებლობების მიხედვით განიხილავს და ამიტომ თვლის, რომ ადამიანისთვის შესაძლებელი ემთხვევა ნებადართულს. ყოველი შესაძლებელი ერთნაირად ნებადართულია. დიმიტრი კარამაზოვი ასე გადმოსცემს თავისი დროის მსოფლმხედველობას, რომელსაც ივანი უწევს პროპაგანდას: ,,ქიმია ძმაო, ქიმია, ვერაფერს გააწყობ, თქვენო მაღალღირსებავ, ცოტა ჩაიწიეთ, ქიმია მოდის. მაშ გამოდის, რომ ახლა ყველაფერი ნებადართულია". (Достоевский, 1993: 179)

ასეთი მსოფლმხედველობა, საბოლოო ანგარიშით სატანიდან მომდინარეობს. საშინელი მოჩვენების სახით გამოცხადებული ეშმაკი ივანს ეუბნება: ,,მე და შენ ერთი ფილოსოფია გვაქვს".

დოსტოევსკი თავის რომანებში გვიხატავს თავისუფლების გზებზე მოარული, უღმერთოდ დარჩენილი ადამიანების ბედს. მას აინტერესებს თავისუფლების ბედი უღმერთო ადამიანში და უღმერთო ადამიანის ბედი თავისუფლებაში. ადამიანი იწყებს

იმით, რომ ამბოხებული განაცხადს აკეთებს თავის თავისუფლებაზე და, „მზადაა წავიდეს ყოველგვარ ტანჯვაზე, ყოველგვარ უგუნურებაზე, ოღონდ თავი იგრძნოს თავისუფლად“ (Достоевский, 1974: 77).

ეს ყოველგვარი საზღვრის გადამლახავი, მეამბოხე თავისუფლებაა. ესაა ამბოხი ღმერთისა და მისგან მომდინარე ღირებულებების წინააღმდეგ.

დოსტოევსკის გმირები თუმცა მეცხრამეტე საუკუნეს ეკუთვნიან, მაგრამ თავისი მსოფლმხედველობით დგანან ჩვენი ეპოქის, ნეოლიბერალიზმის კარიპჭესთან, როცა ადამიანის თავისუფლების გაგება შედის ახალ ფაზაში. რასკოლნიკოვი, სტავროგინი, ვერხოვენსკი, კირილოვი, ივან კარამაზოვი, დიდი ინკვიზიტორი, ჩვენი ეპოქის სულის მოციქულებად გვევლინებიან. დოსტოევსკი თავისუფლების იმ ტრაგიკულ ტრანსფორმაციას გვიჩვენებს, როცა უღმერთო თავისუფლება გადაიზრდება თვითნებობაში, როცა თავისუფლება იქცევა უსაგნო, ცარიელ თავისუფლებად, რომელიც ანადგურებს ადამიანს. სწორედ ეს ფუჭი, ამაო და უსაგნო თავისუფლებაა სტავროგინის, ვერსილოვის თავისუფლება. ეს თავისუფლება ხრწნის სვიდრიგაილოვს და ფიოდორ კარამაზოვს, მიჰყავს საშინელ დანაშაულამდე რასკოლნიკოვი და პეტრე ვერხოვენსკი; ეს დემონური თავისუფლება ღუპავს ივან კარამაზოვს.

თავისუფლება, როგორც თვითნებობა, თავის თავსაც ანადგურებს, ადამიანსაც და შინაგანი გარდაუვალობით მივყავართ მონობასთან, ადამიანში პიროვნების ჩაქრობასთან. სასჯელი გარედან კი არ მოდის, არამედ იმანენტური ღვთაებრივი საწყისი ანადგურებს ადამიანის სინდისს, ყოვლისდამფერფლავი ღვთაებრივი ცეცხლი წვავს ადამიანს იმ სიბნელესა და სიცარიელეში, რომელიც მან თვითონ აირჩია თავისი თავისთვის. ასეთია ადამიანური თავისუფლების ბედი და დოსტოევსკი განსაცვიფრებელი გენიალობით ხატავს ასეთი თავისუფლების ბუნებას. როცა ადამიანი თავის თვითნებურ და მოძალადე თავისუფლებაში არაფერს სცნობს თავისზე უფრო მაღალს და ღირებულს, თუ არაფერია უფრო მაღალი, ვიდრე ადამიანი, მაშინ ადამიანიც ანულირდება. თუ თავისუფლება უსაგნო და უშინაარსოა, თუ ადამიანურ თავისუფლებასა და ღვთიურ თავისუფლებას შორის არ არის „სინერგია“, მაშინ არ არის არც თავისუფლება. თუ არ არის ღმერთი, არ არიან უმაღლესი ღირებულებები, მაშინ ყველაფერი ნებადართულია. იატაკქვეშა ადამიანის თავისუფლება სიკვდილის თესლის მატარებელია.

თუ ასე თავისუფალია ადამიანი, მაშინ ყველაფერი ნებადართულია მამის მკვლელობის ჩათვლით. ერთი ფასი ედება ღვთისმშობლის იდეალს და სოდომურ იდეალს. და ასეთ სიტუაციაში რატომ არ უნდა ცდილობდეს ადამიანი თვითონ გახდეს ღმერთი. რასკოლნიკოვის თავისუფლება, რომელიც გადალახავს ადამიანურ საზღვრებს, მასში ბადებს საკუთარი არარაობის, უძლურების და მონობის ცნობიერებას. სტავროგინის თავისუფლებაც გადაიზრდება სრულ უძლურებაში, განურჩევლობაში, პიროვნულ გამოფიტვასა და ჩაქრობაში. კირილოვის თავისუფლება, რომელსაც სურს ღმერთად გახდომა, მთავრდება საშინელი სიკვდილით. კირილოვი ამბობს: „მე ვიპოვე ჩემი ღმერთი - ეს ჩემი თვითნებობაა“. (Достоевский, 1974: 265) მას მიაჩნია, რომ რადგან არ არის ღმერთი, ღმერთის ადგილი უნდა დაიკავოს ადამიანმა, მაგრამ რომ დაიკავო ღმერთის ადგილი უნდა გამოვლინდე სრულ თვითნებობაში, ანუ უნდა შეგეძლოს გადააბიჯო ყველაფერს - თვით საკუთარ სიცოცხლესაც, და ის, ამ იდეით შებყრობილი, იკლავს თავს.

კირილოვისთვის თვითნებობა ქცეულა წმიდათა-წმინდა მდგომარეობად. ის თვითნებობას მიიჩნევს უმაღლეს მდგომარეობამდე ამაღლების გზად. კირილოვი წესიერი ადამიანია, განრიდებულია ყოველგვარი ხორციელი ვნებებისგან და გატაცებებისგან, მასში არის წმინდანის ნიშნები, ოღონდ ღვთიური მადლის გარეშე. კირილოვი წარმოგვიდგენს ეშმაკეულით შეპყრობილი ადამიანის სახეს. ესაა დოსტოევსკის მთავარი თემა, ასე იღუპებიან მისი დანარჩენი გმირებიც, თვითნებობის გზაზე გზა-კვალ არეულები. მაგალითად, ფიოდორ კარამაზოვის სახით ჩვენ ვხედავთ დანგრეულ პიროვნებას, რომლის

თავისუფლებაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. თავაწყვეტილი, აღვირახსნილი, გარყვნილებისა და უზნეობის უზომო თავისუფლება ადამიანს აქცევს ხორციელ ვნებათა მონად და მთლიანად ართმევს სულიერ თავისუფლებას. დოსტოევსკი დიდოსტატია იმ ადამიანების აღწერაში, რომელნიც შეპყრობილნი არიან ბოროტი ვნებებით, ან ბოროტი იდეებით. ის იკვლევს ამ შეპყრობილობის შედეგებს, რომელნიც ავსულობაში გადადიან. დოსტოევსკი არაჩვეულებრივი გენიალურობით გამოავლენს, რომ უღმერთო თავისუფლება გარდაუვალობით თვითნებობაში გადადის, ხოლო თვითნებობაში თავისუფლება თავის თავს ანადგურებს.

მაგრამ ეს ერთი გზაა ღმერთის უარმყოფელი ადამიანის თავისუფლების ტრანსფორმაციის გზაზე. არის მეორე პერსპექტივა, ესაა დიდი ინკვიზიტორის გზა, რომელსაც მივყავართ ადამიანის თავისუფლების სრულ დაკარგვასთან, მონობასთან, ტირანიასთან და დესპოტიზმთან.

ეს თემა დოსტოევსკიმ პირველად რომანში ,,ეშმაკნი" დააყენა და საბოლოოდ გადაწყვიტა „ძმები კარამაზოვებში". რომანში „ეშმაკნი", როცა განიხილავენ კაცობრიობის გაბედნიერების საკითხს, რომანის პერსონაჟი შიგალიოვი ამბობს, რომ ამ საკითხზე მას ბევრი აქვს ნაფიქრი და ბოლოს იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „თუ ამოვალთ აბსოლუტური თავისუფლების იდეიდან, გარდაუვლად მივალთ აბსოლუტურ დესპოტიზმთან, სხვა გზა ადამიანის გაბედნიერებისა არ არსებობს" (Достоевский, 1974: 420)

ლეგენდაში „დიდი ინკვიზიტორი" ეთმანეთს უპირისპირდება ორი საწყისი, თავისუფლება და იძულება; რწმენა ადამიანის უმაღლეს, ღვთაებრივ დანიშნულებაზე, ადამიანის ცხოვრების აზრსა და ღირებულებაზე და ურწმუნოება ღმერთისა და ადამიანის მიმართ. დიდ ინკვიზიტორს არ სწამს ღმერთის და არ სწამს ადამიანის. ღმერთის რწმენის დაკარგვა გარდაუვალობით მოიყოლიებს ადამიანისადმი რწმენის დაკარგვასაც, რადგან ეს ერთი რწმენის ორი მხარეა. ქრისტიანობის ერთ-ერთ მთავარ იდეას წარმოადგენს „ღმერთკაცის" იდეა, რაც ნიშნავს ადამიანურისა და ღვთაებრივის ერთიანობას თავიუფლებაში. თავისუფლების ქრისტიანული იდეა ადამიანს ანიჭებს უდიდეს ღირსებას, რომ ის მოწოდებულია უმაღლესი მიზნისთვის, რაღაც დიადისთვის. ესაა ადამიანის დიდი დაფასების და პატივისცემის გამოხატულება, მისი სულის ღვთაებრივი წარმომავლობის აღიარება, მაგრამ, იმავ დროს, - უდიდესი პასუხისმგებლობაც. ამიტომ ძნელია და მძიმე ქრისტეს თავისუფლების ტვირთი და ამ გზაზე შედგომა ადამიანისგან გმირობას მოითხოვს.

რადგან ღმერთის მიერ შექმნილი სამყარო ტანჯვითაა სავსე, დიდ ინკვიზიტორს უნდა ადამიანებისთვის შექმნას უკეთესი სამყარო. ამ სამყაროში აღარ იქნება ადამიანთა ტანჯვა, პასუხისმგებლობა, მაგრამ აღარ იქნება თავისუფლებაც. თუ ადამიანის ბედნიერება გინდა უნდა წაართვა მას თავისუფლება, ეს მძიმე ტვირთი, რომლის ზიდვაც მას არ შეუძლია. დიდ ინკვიზიტორს მიაჩნია, რომ სულიერი თავისუფლება ადამიანს არ სჭირდება. მას უნდა ამქვეყნიური კეთილდღეობა (მიწიერი პური). თავისუფლება და კეთილდღეობა კი შეუთავსებელია ერთმანეთთან.

დიდი ინკვიზიტორი დილეგში მის მიერ ჩამწყვდეულ ქრისტეს ბრალს უყენებს: „შენ ადამიანს დაპირდი „ზეციურ პურს" (იგულისხმება სულიერი თავისუფლება, ღმერთის თავისუფალი რწმენა და სიყვარული, უმაღლესი ღირებულებები), მაგრამ ეს უსუსური, მანკიერი, საზიზღარი და უმადური არსება ყოველთვის „მიწიერ პურს" (იგულისხმება ამქვეყნიური კეთილდღეობა) ამჯობინებს შენს ზეციურ პურს და თუ შენ გამოგყვებიან ათასები, მილიონები და ათეული მილიონები მიწიერი პურისთვის აღსდგებიან შენს წინააღმდეგ და მიწის სული დაგამარცხებს შენ. შენი ტაძრის ადგილას კი აღმართავენ ახალ, საშინელ ბაბილონის გოდოლს... ადამიანები მხოლოდ მაშინ მოიპოვებენ ნამდვილ თავისუფლებას, როცა უარს იტყვიან სულიერ თვისუფლებაზე. ჩვენ მათ გავანთავისუფლებთ ცოდვისგან, დავარწმუნებთ, რომ ცოდვა არ არსებობს. ჩვენ მათ

მივცემთ მორჩილ ბედნიერებას, სუსტთა თავისუფლებას, რისთვისაც არიან ისინი შექმნილნი. ჩვენ ვაიძულებთ, რომ იმუშაონ, ხოლო შრომისგან თავისუფალ დროს მათ გავართობთ ბავშვური თამაშებით, ბავშვური სიმღერებით და ცეკვა-თამაშით. ნებას დავრთავთ ჩაიდინონ ცოდვა, რადგან სუსტები და არამზადები არიან. (Достоевский, 1993: 276-278)

დიდი ინკვიზიტორის სული, რომელიც ქრისტეს ანტიქრისტეთი ანაცვლებს, მარადიულია. ის სხვადასხვა სახით ვლინდება ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე, კათოლიკური თეოკრატიით დაწყებული, ლენინით, ტროცკით, ჰიტლერით, გაგრძელებული და თანამედროვე გლობალური ლიბერალიზმით დამთავრებული. ეს სული ერთნაირად ვლინდება ათეისტურ სოციალიზმში და ათეისტურ ლიბერალიზმში. უღმერთო თავისუფლება აუცილებლად ბადებს უსაზღვრო დესპოტიზმს. ასეთი თავისუფლება თავის თავში დიდი ძალადობის მატარებელია.

დოსტოევსკი გვაფრთხილებს, რომ დემოკრატიას, სოციალისტური იქნება თუ ლიბერალური, რომელიც ათეისტურია და შეპყრობილია აბსოლუტური თავისუფლების იდეით, გარდაუვლად მივყავართ ადამიანთა მცირე ჯგუფის ბატონობასთან დანარჩენ კაცობრიობაზე. ეს კაცღმერთობის, ანტიქრისტეს გზაა, რომლის ბოლოს გველოდება გაუგონარი ტირანია. საყოველთაო ლიბერალური შეპყრობილობა თავის თავში ფარავს საშინელნ საფრხეს, ადამიანში ადამიანის განადგურების საფრთხეს.

დასკვნები. თავისუფლების ქრისტიანული გაგება - სულიერი თავისუფლება, წარმოადგენს თავისუფლების უმაღლეს სახეს, რაც ადამიანში ადამიანობის საფუძველია, მისი განვითარებისა და სრულქმნის აუცილებელი პირობა. ის არ აძლევს ადამიანს იმის საშუალებას, რომ დაკმაყოფილდეს მხოლოდ მიწიერი კეთილდღეობით, აიძულებს - ორიენტირებული იყოს სულიერი ღირებულებებით. ქრისტიანობა ღმერთკაცის რელიგიაა. ღმერთკაცის იდეა კი ნიშნავს ადამიანურისა და ღვთაებრივის ერთიანობას თავისუფლებაში. სულიერი თავისუფლება ადამიანს ანიჭებს უდიდეს ღირსებას, რომ ის მოწოდებულია უმაღლესი მიზნისთვის, რაღაც დიადისთვის. ესაა ადამიანისადმი დიდი დაფასების, პატივისცემის გამოხატულება, მისი სულის ღვთაებრივი წარმომავლობის აღიარება, მაგრამ იმავ დროს - დიდი პასუხისმგებლობაც.

კატასტროფული სულიერი დეგრადაცია თანამედროვე დასავლეთში იმითაცაა განპირობებული რომ უარყოფილია ღმერთი, რაც გარდაუვალობით გულისხმობს ადამიანის უმაღლესი დანიშნულებისადმი რწმენის დაკარგვას და სულიერი თავისუფლებისა და უმაღლესი სულიერი ღირებულებებისადმი ნიჰილისტურ დამოკიდებულებას.

დოსტოევსკის რომანების გმირები თუმც მეცხრამეტე საუკუნეს ეკუთვნიან, მაგრამ თავისი მსოფლმხედველობით დგანან ჩვენი, ნეოლიბერალიზმის ეპოქის, კარიბჭესთან. რასკოლნიკოვი, სტავროგინი, ვერხოვენსკი, კირილოვი, ივან კარამაზოვი, დიდი ინკვიზიტორი ჩვენი ეპოქის სულის მოციქულებად გვევლინებიან. დოსტოევსკი თავისუფლების იმ ტრანსფორმაციას გვიჩვენებს, როცა უღმერთო თავისუფლება გადაიზრდება თვითნებობაში, როცა თვითნებობა თავის თავსაც ანადგურებს ადამიანსაც და შინაგანი გარდაუვალობით მივყავართ პიროვნების ჩაქრობასთან, დესპოტიზმთან და მონობასთან.

გამოყენებული ლიტერატურა

ბიბლია. (1989). თბილისი: გამომცემლობა „საქართველოს საპატრიარქო“.

ფრომი, ე. (2020). *გაქცევა თავისუფლებიდან.* თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“.

Кант, И. (1965). *Полное собрание сочинений.* Москва: Издательство „Спутник“.

Достоевский, Ф. (1974). *Полное собрание сочинений.* Т. 29-30, Ленинград: Издательство „Наука“.

Достоевский, Ф. (1993). *Братья карамазовых.* СПБ: „Каравела“.

Хайдеггер, М. (1993). *Европейский нигилизм.* Москва: Издательство „Республика“.

REFERENCES

biblia [Holy Bible]. (1989). Tbilisi: Publishing house „Sakartvelos sapatriarko“.

promi, e. (2020). *gaktseva tavisuplebidan [Escape from freedom].* Tbilisi: Publishing house „Intelekti“.

Kant, I. (1965). *Polnoe sobranie sochinenij [Selected Works].* Moscow: Publishing house „Sputnik“.

Dostoevskij, F. (1974). *Polnoe sobranie sochinenij [Complete Works].* Vol. 29-30, Leningrad: Publishing house „Nauka“.

Dostoevskij, F. (1993). *Brat'ja karamazovyh [The Brothers Karamazov].* St. Petersburg: „Karavela“.

Hajdegger, M. (1993). *Evropejskij nigilizm [European nihilism].* Moscow: Publishing house „Respublika“.